

ოიკონიმთა წარმოება დიდოურ ენაში¹

ავტორი ნოდარ არდოტელი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ელფოსტა: nodariadoteli@yahoo.com

ანოტაცია

სტატიაში წარმოდგენილია ოიკონიმთა წარმოების კანონზომიერებანი და თავისებურებანი დიდოურ ენაში. გარკვეულია, რომ ისტორიულად დიდოებით დასახლებულ ტერიტორიას ჰქონდა გავრცელების გარკვეული არეალი, რომელში მოქცეულ დასახლებულ პუნქტებს მოეპოვებოდა როგორც საკუთრივ დიდოური სახელები, ისე ხუნძური სახელწოდებანი. შემჩნეულია რამდენიმე ქართული წარმომავლობის ოიკონიმიც. ამასთანავე, წერილში მოცემულია არაერთი ოიკონიმის ისტორიული ინტერპრეტაცია და გენეზისის დადგენის ცდა, რაც ცხადყოფილია სათანადო მაგალითებით.

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმი, ოიკონიმი, ეტიმოლოგია, კლასიფიკაცია, კომპოზიტი

შესავალი

ოიკონიმთა შესწავლისას ყურადსადებია, ერთი მხრივ, მათი დერივაციულ თავისებურებათა განხილვა და ლოკალიზაციის განსაზღვრა, მეორე მხრივ კი, ამგვარ სახელთა ეტიმოლოგიური საკითხების გარკვევა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, დიდოეთის ტერიტორიაზე ახლანდელი დასახლებული პუნქტების სახელთა ისტორიული ინტერპრეტაცია და გენეზისის დადგენა, ვინაიდან მათი დიდი ნაწილი ძველისძველია.

დიდოეთი დაღესტნის უკიდურეს მთიანეთში – მიტლუდის წყლისა და მისი შენაკადების ხეობებში – მდებარეობს. იგი მოქცეულია კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი მთაგრეხილის ჩრდილოეთ კალთებზე და მოიცავს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ყადორის უღელტეხილიდან ჩრდილოეთით საჰადამდე, ხოლო ქიდიროდან დასავლეთით სოფელ ქიმიათლამდე.

ლეონტი მროველი დიდოებს ძვ. წ. II ს.-ის მოვლენების აღწერისას ასახელებს, ხოლო დიდოეთი რომაულსა და ბერძნულ წყაროებში ჯერ კიდევ I-II საუკუნეებში მოიხსენიება. ამჟამად დიდოელებით დასახლებულ მიწა-წყალზე, წუნტისა და წუმადის რაიონებში, განთავსებულია 48-მდე² აული, რომელთა სახელწოდებანი შეიძლება იყოს საერთოც (ხუნძურ-დიდოური) და განსხვავებულიც (ა. ხუნძური, ბ. დიდოური)³. დაღესტნურ ტოპონიმიკაში დიდოურ ოიკონიმებს ყურადღება ნაკლებად ექცეოდა, რითაც არის გამოწვეული ჩვენს მიერ მათი ლინგვისტური ანალიზის ჩატარება. მართალია, ცალკეულ ნაშრომებში ხდებოდა დიდოურ ოიკონიმებზე მითითება, თუმცა მათი ენათმეცნიერული კვლევა-ძიება, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ განხორციელებულა (იხ. სერჟუტოვსკი 1916: 279; ბოკარევი 1949: 31; მეგრელიძე 1955: 241-242; იმნაიშვილი 1963: 7-8; ხალილოვი 1999: 842; ლუგუევი, მაჰომედოვი 2000: 7-50...).

ძირითადი ნაწილი

დიდოური ოიკონიმებიდან ზოგს ხუნძური ეტიმოლოგია მოეპოვება, ზოგი კი დიდოური ენისავე საფუძველზე უნდა აიხსნას. ხუნძურად გაფორმებულ ოიკონიმებად მიიჩნევა ის ფორმები, რომელთაც სათანადო ფუძე ხუნძური წარმომავლობისა ჩანს და სუფიქსებიც ამავე რიგისაა, მაგ.: ქიდერო // ქიდირო <ქუდიერო // *ქუდი-დირო (შდრ. ხუნძ. ქუინე ‘ჭამა, კვება’) ზედმიწე. ‘საკვებიანი, მოსავლიანი’, მოყოყ ‘კაკაბი, კაკბიანი’ (შდრ. ქართ. კაკაბეთი), კილარ-ტა (<კილ’ ორი’, შდრ. ხუნძ. კი-გო ‘id.’, ლარ ‘ნაკადული, ხევი, შენაკადი’, -ტა ‘-ზე’) ‘ორხევიზე⁴,

ორწყალზე’, საჰადა (< საჰ- ‘?, -და ‘-ზე’) და მისთ. ბ) დიდოური სტრუქტურული მოდელის მიხედვით უნდა იყვნენ გაფორმებული შემდეგი ოიკონიმები: ელბოყ < ელბო-ყ (შდრ. დიდ. ელბო ‘მტრედი’, -ყ < -ყა ‘-ვით, ოდენა’) ‘მტრედისფერი, მტრედივით’, ასაჯ < *ას-ა-ჯ (შდრ. ას ‘ცა’, -ჯო ‘-ზე, -კენ, -თან’) ‘ცაზე, ცისკენ’, გუტა < გუტ-ტა (შდრ. დიდ. გუტ ‘ბოლი, მტვერი’, ტალ ‘სოფელი’) ‘ბოლიანი (იავარქმნილი?) სოფელი’ და ა. შ.

გარდა ზემომოყვანილი ოიკონიმებისა, დასტურდება თითო-ორთა აულის სახელი, რომელიც შეიძლება ქართული წარმომავლობისა იყოს. კერძოდ, ასეთი ჩანს თუშეთის ახლომდებარე აულის სახელი ჯუშათ//ჯუშეთ, რომელშიც შეიძლება ცალკე გამოიყოს -ეთ/-ათ ეთნიკური სახელებისა და ტოპონიმების საწარმოებელი სუფიქსი. ამ სოფლის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ფოლკლორული მასალა გვაუწყებს, რომ იგი დაარსებულია ვინმე ჯუშის მიერ. თუ ეს გადმოცემები სინამდვილეს ასახავს, მაშინ გასაგები იქნებოდა -ეთ სუფიქსის დანიშნულება – ჯუშ-ეთ ‘ხუშის შთამომავლებისა’ (შდრ. თუშ. ბილო-ეთ სათიბედ ‘ბილოძეების სათიბი’...). ქართული ენის სტრუქტურულ მოდელს მისდევს შაიტლის საბჭოში შემავალ აულთა ზოგადი სახელწოდება ილანხევი, რომელიც კომპოზიტიური აგებულებისა უნდა იყოს: ილან-ხევი (< ილან-ხევი < ილანთ-ხევი < ილიანთ-ხევი). ქართული -ურ სუფიქსით გაფორმებული შეიძლება იყოს ერთ-ერთი აულის სახელი ქიტ-ურ-ი (შდრ. საკ. დიდ. ქიტ), რომელიც ილანხევის აულთა წყებაში ერთიანდება და ა. შ.

ოიკონიმთა სინქრონიული თვალსაზრისით შესწავლა და მათი კლასიფიკაცია, როგორც ცნობილია, მორფოლოგიურ-დერივაციული მოდელების გამოყოფით ხდება (აბდულაევი 2015: 369). სტრუქტურული თვალსაზრისით, დიდოური ოიკონიმები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1) მარტივი და 2) რთული⁷. 1) მარტივი (ერთფუძიანი) ოიკონიმები: ცეტო, ასაჯ, ოსხო, ბერიჯ, იჰა...; 2) რთული (ორ- და მეტფუძიანი) ოიკონიმები კომპოზიტიური აგებულებისა: ნაჰ-ურ-ალ, გუტ-ალ, ვიწი-ალ და მისთ.

1) დიდოურ აულთა სახელების მარტივი წარმოებისათვის თვალის მიდევნებისას თავს იჩენს ეტიმოლოგიური კვლევის აუცილებლობა, ვინაიდან ოიკონიმთა სათანადო სეგმენტაცია და არქექტიპების რეკონსტრუქცია სწორედ ამგვარ კვლევასთან არის დაკავშირებული. კერძოდ, დიდოურ ენაში არაერთი ოიკონიმი, ხუნძურისა და სხვა ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, ლოკატიური ბრუნვის (მეტწილად სუპერესივის) ფორმით არის წარმოდგენილი (ჩიქოზავა, ცერცვაძე 2016: 166-167; გუდავა 1962: 101-102). ამასთან, ლოკატიური ბრუნვის ნიშანი ძირითადად არამოტივირებულ ფუძეს დაერთვის: ა) სუპერესივში -ტო/-ტ (I სერია) ‘-ზე’ ნიშნით გაფორმებული ოიკონიმების საილუსტრაციო მაგალითის ნიმუშია დიდოელთა ისტორიული საცხოვრისის გამომხატველი სახელი ცეტო, რომელიც იმავდროულად საჰადის (აული დიდოეთის უკიდურეს ჩრდილოეთში) აღსანიშნავ კომონიმდაც (ცეტო – საჰადა, ცეტოსი – საჰადელი) გამოიყენება. როგორც ირკვევა, დიდ. ცეტო სტრუქტურულ-სემანტიკურად ხუნძ. წუნტა ტოპონიმის ანალოგიურია, რადგანაც ორივეს ეტიმოლოგია ერთნაირი მოტივაციისაა და წარმოდგენილია I სერიის ადგილობითი ბრუნვით: წუნ-ტა (< წუნდ/წუნ ‘არწივი’, -ტა ‘-ზე’) ‘არწივზე’, შდრ. დიდ. ცე-ტო (< ცე//ცეა ‘არწივი’, -ტო ‘-ზე’, ბოთლ. წუნდე ‘დიდოეთი’ – წუნდი ‘არწივი’...) ‘არწივზე’ (შდრ. მეგრელიძე 1942: 183). როგორც ჩანს, სახელდებისას ყურადღება გაუმახვილებიათ დიდოურ აულთა ადგილმდებარეობისა და მის არწივებთან სიახლოვის გარდა, ამ ფრინველთან, როგორც სიძლიერის სიმბოლოსთან, ასოცირებაზეც. ამავე რიგისაა აზ-ტო (შდრ. დიდ. აზ- ‘თრთვილი, ჭირხლი’, -ტო ‘-ზე’) ‘თრთვილზე’, რომელიც გეოგრაფიულად მაღალ ქედზე მდებარეობს და ზამთრობით მუდამ თრთვილიან-თოვლიანია. სწორედ ამ გარემოებით ჩანს შეპირობებული მისი სახელდება.

ბ) დირექტივში -ჯო/ -ჯ ‘-ზე, -კენ’ (II სერია): ასა-ჯო (< *ას-ა-ჯო, შდრ. დიდ. ას ‘ცა’) ‘ცაზე, ცისკენ’. საგულისხმოა, რომ ას, აგრეთვე, გამოხატავს ‘ნისლს, ღრუბელს’, რაც ნიშანდობლივი უნდა იყოს ამ აულის სახელის მოტივირებისას. გარდა ამისა, დასტურდება სხვა ანალოგიური ოიკონიმებიც: ინო-ჯ (< ინო-ჯო, შდრ. დიდ. ინი „ხორბალი“)

‘ხორბალზე, ხორბლისკენ’. თუ ეს დაკავშირება სწორია, შესაძლოა, სახელმძღვანელო აქ უხვმოსავლიან ადგილს გულისხმობდეს. მაღალ მდებარეობასა და ყინულებთან სიახლოვეზე მიგვანიშნებს აული ბერი-ჯ (< ბერი-ჯო, შდრ. დიდ. ბერო ‘ყინული’) ‘ყინულზე’. კომპოზიტიური აგებულებისა უნდა იყოს ციციმა-ჯ (< *ციმ-ციმა-ჯო, შდრ. დიდ. ციმ ‘ზოროტება, სიავე’) ‘ზოროტებაზე, სიძულვილზე’ და სხვ.;

გ) კომიტატივში -ხო/-ხ ‘-თან, მახლობლად’ (III სერია): ლოც-ხო (< ლოც-?, -ხო ‘-თან, ახლოს’), ოს-ხო (შდრ. საპ. ოს ‘ხარი’) ‘ხართანა’...;

დ) I ინესივში -წ-‘ში (სიცალიერეში)’ (V სერია): იწ-წ (შდრ. დიდ. იჭუ ‘მდინარე, ხევი’) ‘ხევში’⁸, ეწ-წ (შდრ. ეშუ ‘ფაფარი, სავარცხელი’) ‘ფაფრიანში, ლელიანში’...;

ე) II ინესივში -ლ-‘ში’ (სავსეში) (VI სერია): ქიმე-ლ (შდრ. დიდ. ქიმუ ‘ღივი’) ‘ღივში’...;

ვ) სუბესივში -ლ-‘ქვეშ’ (VII სერია): გენი-ლ (შდრ. დიდ. გენი ‘მსხალი’) ‘მსხალქვეშ’⁹, ლაღა-ლ (შდრ. დიდ. ლაღა ‘მარცვალი, მარცვლეული’) ‘მარცვალქვეშ’¹⁰ და მისთ.

ზემოგანხილული ოიკონიმების გარდა, ზოგი აულის სახელწოდება შეიძლება ასე აიხსნას: ყულ’ულა¹¹ („ორი მდინარის შესართავთან განთავსებული აული ყადორის უღელტეხილის მიმართულებით“), რომელიც ხერთვისთან მდებარეობს და რუსულად *Междуречье* (შუაწყალი, წყალშუა, შდრ. ქართ. წყალთაშუა ‘სოფელი ბაღდათის რ.-ში’) ფორმით არის წარმოდგენილი, ნაწარმოები ჩანს -ლა სუფიქსით. ჩვენი მოსაზრებით, ეს სახელწოდება გარკვეულ მიმართებაში უნდა იყოს ყულ’ალა > ყულ’ულა (‘განტოტებული, განშტოებული’) სახელთან (შდრ. ყულ’უ ‘ორტოტა ფიწალი’), რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება ‘ორს, წყვილს’ (ყა-ნო) უკავშირდებოდეს. ამგვარ ინტერპრეტაციას განამტკიცებს შესაბამისი ხუნძური ვარიანტიც, რომელთან პარალელიზმიც თვალშისაცემია: ხუძ. კილარ-ტა < კი-ლარ-ტა (< კი- ‘ორი’, შდრ. კი-გო ‘id.’, -ლარ ‘ნაკადული, ხევი’, -ტა ‘-ზე’) ‘ორხეზე, ორწყალზე, ორ ნაპირზე’.

2) რთული ოიკონიმები წარმოშობით განსაზღვრებით კომპოზიტებს წარმოადგენენ, რომელთა მსაზღვრელი კომპონენტი შეიძლება იდგეს აბსოლუტივში, მიცემითა და ნათესაობითში, ხოლო საზღვრულად ჩვეულებისამებრ ალ (< ცალ ‘აული’) იყოს გამოყენებული. კერძოდ, ოიკონიმი ნაჭურალ (‘ზოჩოხის უღელტეხილთან მდებარე აული’) აგებულებით კომპოზიტს წარმოადგენს: ნაჭურ-ალ (ნაჭურ-რ მიც. ‘მუხას’, ალ < ცალ ‘აული’) ‘მუხათაული’ (ზედმიწ. ‘მუხასაული’). ამ სახელში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ კომპოზიტის პირველი კომპონენტი ნაჭურ-რ (‘მუხას’), ნათესაობითის ნაცვლად, მიცემითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება მეორე კომპონენტს, იგი სავსებით კანონზომიერ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის და რ-ს მეზობლად ც იკარგვის. ამგვარივე სტრუქტურისა ჩანს გუტალ < გუტ-ცალ (შდრ. დიდ. გუტ ‘ბოლი, მტვერი’ - ცალ ‘აული’) ‘ბოლიანი (იავარქმნილი)¹² აული’, მაჭალალ < *მაჭარ-ალ < *მაჭარ-ცალ (შდრ. დიდ. მაჭა ‘ქერი’ - ცალ ‘აული’) ‘ქერთაული’ (ზედმიწ. ‘ქერსაული’, შდრ. ნაჭურ-ალ ‘მუხასაული’) და ა. შ.

დასკვნა

ამრიგად, დიდოური ოიკონიმები წარმოქმნილია სხვადასხვაგვარ სუბსტანტივთა (ცხოველ-ფრინველთა, მცენარეთა, ასტრონომიულ სახელთა...) მარტივი ფუძეებისაგან უპირატესად ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნების დართვით. გარდა ამისა, დასტურდება ისეთი დიდოური ოიკონიმები, რომლებიც კომპოზიტიური აგებულებისანი ჩანან და რთულ ოიკონიმთა რიცხვს მიეკუთვნებიან. კომპოზიტიური აგებულების ოიკონიმები პირველ კომპონენტად რომელიმე არსებით სახელს აბსოლუტივში, მიცემითა და ნათესაობითში გვიჩვენებენ, ხოლო მეორე კომპონენტად კი ალ < ცალ (‘აული’) სახელს აბსოლუტივის ფორმითა და გამარტივებული სახით დაირთავენ.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: **FR-18-3659**).

² მ. ხალილოვი 54 დასახლებულ პუნქტს ასახელებს, თუმცა მკვლევარი, როგორც ჩანს, ხუტორთა სახელწოდებებსაც (ქამარ-ხუტორი, ყულა...), ათვლის (ხალილოვი 1999: 842). რაც შეეხება აულ **ხვინი**-ს, იგი ხვარშიული აულია, იხ. (იმნაიშვილი 1963: 8).

³ დ. იმნაიშვილი ოიკონიმებში განასხვავებს იდენტურსა და განსხვავებულ სახელწოდებებს (იმნაიშვილი 1963: 7).

⁴ შდრ. ქართ. **ორხევი**, რომელიც თბილისის ერთ-ერთ განაპირა უბნის სახელწოდებაა.

⁵ ამ ოიკონიმში **-ეთ** სუფიქსი ჩვენს ყურადღებას სათანადო ქართულ **-ეთ** (ხევსურ-**ეთ**-ი) სუფიქსისკენ წარმართავს.

⁶ ერთი შეხედვით, **-ურ** სუფიქსი ამ ოიკონიმის ქართულობას გვაფიქრებინებს.

⁷ გამოყოფენ, აგრეთვე, ნაწარმოებ ოიკონიმებსაც (აბდულაევი 2015: 370), თუმცა სიმარტივისათვის ამ ტიპის ოიკონიმები შეიძლება მარტივ ოიკონიმებთან გავაერთიანოთ.

⁸ ოდნავ განსხვავებულად ჩანს ნაწარმოები ხუნძ. **ლარა-ტა** „ხევზე“, „ნაკადულზე“ (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 165).

⁹ შდრ. ქართული დასახლებული პუნქტები: მსხლოვანი, პანტიანი და მისთ.

¹⁰ ცხადია, სახელდებისას იგულისხმებოდა მარცვლეულობა (ხორბალი, ქერი...), რომელიც მეტად პრობლემური იყო დაღესტნის მწირ მთიანეთში.

¹¹ ი. მეგრელიძე (1955: 231) **ყულ'ულა** ოიკონიმს „ჯორის“ მნიშვნელობით იმოწმებს, თუმცა ჩვენ ეს სახელი აღნიშნული სემანტიკით ვერ დავადასტურეთ, იხ. **ყვერეწი** „ჯორი“ (ხალილოვი 1999: 275).

¹² ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ოიკონომიაში არაიშვიათად დასტურდება ანალოგიური მნიშვნელობის აულთა სახელწოდებანი.

ლიტერატურა

აბდულაევი 2015: Иса Халидович Абдуллаев. Междажестанские и межкавказские языковые контакты. Махачкала: Издательство Института ЯНЦ ДНЦ РАН, 2015.

ბოკარევი 1949: Евгений Алексеевич Бокарев. Краткие сведения о языках Дагестана. Махачкала, 1949.

გუდავა 1962: ტოგო გუდავა. ბოთლიხური ენა. თბილისი: „საქ.სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა“, 1962.

იმნაიშვილი 1963: Давид Сильвестрович Имнайшвили. Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками. Тбилиси: «Издательство АН ГССР», 1963.

ლუგუევი, მაჰომედოვი 2000: Сергей Абдулхаликович Лугуев, Даниял Муртазалиевич Магомедов. Дидойцы (цезы) (Историко- этнографическое исследование. XIX начало XX века). Махачкала, 2000.

მეგრელიძე 1942: Иосиф Варфоломеевич Мегрелидзе. Дидойцы и название Дидо. – Труды пед. инст. им Пушкина, т. II. Тбилиси, 1942, С. 175-188.

მეგრელიძე 1955: Иосиф Варфоломеевич Мегрелидзе. Из дидойской диалектологии. – სტალინბრის სახელმწ. პედ. ინსტ. შრომები, II. ცხინვალი, 1955, გვ. 223-242.

სერჟპუტოვსკი 1916: Александр Казимирович Сержпутовский. Поездка в нагорный Дагестан. - Живая старина, Вып. IV. Петроград, 1916, с. 273-302.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: არნოლდ ჩიქობავა, ილია ცერცვაძე, ხუნძური ენა. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1962.

ხალილოვი 1999: Маджид Шарипович Халилов. Цезско-русский словарь. Махачкала: Издательство Института ЯНЦ ДНЦ РАН, 1999.